ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<table>
<tr><td colspan="2">ევროკავშირის სამართლებრივი აქტი<br><br>**2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/102/EC დირექტივა, „კორპორაციული სამართლის სფეროში ერთ-წევრიანი შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიების შესახებ“**[1]</td><td colspan="5">საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში:<br><br>№1. საქართველოს კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ“<br><br>შესაბამისობა:<br>სშ – სრულად შესაბამისი<br>ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი<br>შ – შეუსაბამო<br>ას – არასავალდებულო</td></tr>
<tr><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td><td>6</td><td>7</td></tr>
<tr><td>მუხლი ან ნაწილი</td><td>ნორმის ტექსტი</td><td>№</td><td>მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)</td><td>ნორმის ტექსტი</td><td>შესაბამისობა</td><td>შენიშვნები</td></tr>
<tr><td>1</td><td>ამ დირექტივით გათვალისწინებული კოორდინაციის ღონისძიებები ვრცელდება წევრი სახელმწიფოების იმ კანონებზე, რეგულაციებსა და ადმინისტრაციულ დებულებებზე, რომლებიც I დანართით განსაზღვრული კომპანიების ტიპებს უკავშირდება.</td><td></td><td></td><td></td><td>ას</td><td>2009/102/EC დირექტივა ვრცელდება კერძო ტიპის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებზე. კერძო ტიპის საზოგადოებაში იგულისხმება კომპანია, რომლის აქციებით ვაჭრობა არ ხდება საჯარო შეთავაზების გზით და რომელშიც აქციონერების პასუხისმგებლობა არის შეზღუდული. საქართველოს სამართლის სისტემაში ამგვარი რეგულაცია უნდა გავრცელდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე.<br>აღნიშნული დირექტივის მოქმედება შესაძლებელია გავრცელდეს სააქციო საზოგადოებაზეც. კანონპროექტი სწორედ ამ გზითაა წასული და დირექტივით დადგენილი მოთხოვნების ამსახველი ნორმები კანონპროექტით ვრცელდება, როგორც შპს-ზე, ისე სს-ზე, ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად პირველ დანართს მასში მოცემულია წევრი</td></tr>
</table>

[1] ცხრილის შედგენისას გამოყენებულია დირექტივის კონსოლიდირებული ვერსია 01/07/2013-ის მდგომარეობით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | სახელმწიფოების კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო ორგანიზაციათა ტიპები. |
| 2.1 | კომპანიას შეიძლება ჰყავდეს ერთი წევრი მისი დაფუძნების დროს და ასევე მაშინ, როდესაც ყველა მისი აქცია აღმოჩნდება ერთი პირის საკუთრებაში (ერთწევრიანი კომპანია). | №1<br><br>№1 | 20.1<br><br>20.2 | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმა.<br><br>შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ ყველა წილის/აქციის ერთი პარტნიორის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში ეს სამეწარმეო საზოგადოება ხდება ერთი პირის სამეწარმეო საზოგადოება. ამის შესახებ ინფორმაცია და პარტნიორის საიდენტიფიკაციო მონაცემები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში უნდა აისახოს რეესტრში, ხოლო სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – აქციათა რეესტრში და საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. | სშ | |
| 2.2 | ჯგუფებთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობის კოორდინაციის დასრულებამდე, წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა დაადგინონ სპეციალური დებულებები ან სახდელები ისეთ შემთხვევებში როდესაც:<br>(a) ფიზიკური პირი რამდენიმე კომპანიის ერთპიროვნული აქციონერია; ან<br>(b) ერთწევრიანი კომპანია ან ნებისმიერი სხვა იურიდიული პირი კომპანიის ერთპიროვნული წევრია. | | | | ას | დირექტივის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა დისკრეციული ხასიათისაა და უტოვებს სახელმწიფოს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. |
| 3 | როდესაც კომპანია ხდება ერთწევრიანი კომპანია მისი აქციების ერთი პირის საკუთრებაში გადასვლის გამო, ეს ფაქტი და ერთპიროვნული აქციონერის ვინაობა უნდა დაფიქსირდეს არქივში ან დარეგისტრირდეს რეესტრში 68/151/EEC დირექტივის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, ან დარეგისტრირდეს კომპანიის რეესტრში, რომელიც საჯაროდაა ხელმისაწვდომი. | №1 | 20.2 | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ ყველა წილის/აქციის ერთი პარტნიორის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში ეს სამეწარმეო საზოგადოება ხდება ერთი პირის სამეწარმეო საზოგადოება. ამის შესახებ ინფორმაცია და პარტნიორის საიდენტიფიკაციო მონაცემები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში უნდა აისახოს რეესტრში, ხოლო სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – აქციათა რეესტრში და საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. | სშ | |
| 4 | 1. ერთპიროვნულ წევრს აქვს კომპანიის საერთო კრების უფლებამოსილების გამოყენების უფლება. | №1 | 21.1 | თუ სამეწარმეო საზოგადოებას ერთადერთი პარტნიორი ჰყავს, პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას ის ახორციელებს. ამგვარი | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2. პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სფეროში ერთპიროვნული წევრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეტანილ უნდა იქნას ოქმში ან გაფორმდეს წერილობით | | | უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ფორმდება. | | |
| 5 | 1. ხელშეკრულებები ერთპიროვნულ წევრსა და მის მიერ წარმოდგენილ კომპანიას შორის შეტანილ უნდა იქნას ოქმში ან გაფორმდეს წერილობით.<br><br>2. წევრ სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა ჩვეულებრივ შემთხვევაში განხორციელებული მიმდინარე ოპერაციების დროს. | №1 | 21.2 | სამეწარმეო საზოგადოებასა და მის ერთადერთ პარტნიორს შორის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში იდება. | სშ | |
| 6 | ეს დირექტივა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც წევრი სახელმწიფოს ფარგლებში დაშვებულია მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთწევრიანი კომპანიის არსებობა საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის სახით. | №1<br><br>№1 | 20.1<br><br>20.2 | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმა.<br><br>შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ ყველა წილის/აქციის ერთი პარტნიორის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში ეს სამეწარმეო საზოგადოება ხდება ერთი პირის სამეწარმეო საზოგადოება. ამის შესახებ ინფორმაცია და პარტნიორის საიდენტიფიკაციო მონაცემები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში უნდა აისახოს რეესტრში, ხოლო სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – აქციათა რეესტრში და საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. | სშ | კანონპროექტი უშვებს ერთი პირის სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებას სს-ის სახით და მასზე ვრცელდება ყველა ის მოთხოვნა, რომელიც ასეთი ტიპის საზოგადოებებისთვის არის დადგენილი. |
| 7 | წევრ სახელმწიფოს არ მოეთხოვება, რომ დაუშვას ერთწევრიანი კომპანიების ჩამოყალიბება იმ შემთხვევაში, თუ მისი კანონმდებლობის თანახმად, ინდივიდუალურ მეწარმეს უფლება აქვს დააფუძნოს საწარმო, რომლის პასუხისმგებლობაც შეზღუდულია კონკრეტული საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხით, იმ პირობით, თუ ასეთი საწარმოებისთვის დადგინდება შესაბამისი გარანტიები, რომლებიც ამ დირექტივით განსაზღვრული გარანტიების ან პირველი მუხლით გათვალისწინებულ კომპანიების მარეგულირებელი ევროგაერთიანების ნებისმიერი სხვა დებულებებით განსაზღვრული გარანტიების ტოლფასი იქნება. | | | | ას | კანონპროექტი, ისევე როგორც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს მსგავს სამართლებრივ ფორმას. |
| 8 | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააცნონ კომისიას ეროვნული კანონმდებლობის იმ ძირითად დებულებათა ტექსტი, რომლებსაც ისინი მიიღებენ ამ დირექტივით გათვალისწინებულ სფეროში. | | | | ას | ეხება წევრი სახელმწიფოებისა და კომისიის კომუნიკაციის საკითხს |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | გაუქმებულია 89/667/EEC დირექტივა, რომელშიც ცვლილებები შევიდა II დანართის A ნაწილში ჩამოთვლილი აქტებით, რაც არ ზღუდავს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს დაიცვან II დანართის B ნაწილში მოცემული, ამ დირექტივის სახელმწიფო კანონმდებლობაში გადმოტანისა და მისი ამოქმედების ვადები.<br>მითითებები გაუქმებულ დირექტივებზე განიმარტება, როგორც მითითებები ამ დირექტივაზე და აღიქმება III დანართში მოცემული კორელაციის ცხრილის მიხედვით. | | | | ას | ეხება წევრი სახელმწიფოების მიერ გაუქმებული დირექტივის დებულებების იმპლემენტაციის საკითხს |
| 10 | წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს. | | | | ას | ეხება დირექტივის ძალაში შესვლის საკითხს |
| 11 | წინამდებარე დირექტივა განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის. | | | | ას | ეხება დირექტივის მოქმედებას წევრ სახელმწიფოებზე |
| დანართი I | პირველი მუხლით გათვალისწინებული კომპანიების ტიპები<br>- ბელგია:<br>‘société privée à responsabilité limitée/besloten vennootschap met beperkte aansprakelijkheid’,<br>- ბულგარეთი:<br>‘дружество с ограничена отговорност, акционерно дружество’,<br>- ჩეხეთის რესპუბლიკა:<br>‘společnost s ručením omezeným’,<br>- დანია:<br>‘anpartsselskaber’,<br>- გერმანია:<br>‘Gesellschaft mit beschränkter Haftung’,<br>- ესტონეთი:<br>‘aktsiaselts, osaühing’,<br>- ირლანდია:<br>‘private company limited by shares or by guarantee’,<br>- საბერძნეთი:<br>‘εταιρεία περιορισμένης ευθύνης’,<br>- ესპანეთი:<br>‘sociedad de responsabilidad limitada’,<br>- საფრანგეთი:<br>‘société à responsabilité limitée’,<br>- ხორვატია:<br>‘društvo s ograničenom odgovornošću, dioničko društvo’,<br>- იტალია: | | | | ას | დირექტივის მოცემული დანართის დებულებები რელევანტურია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის, რადგან მასში ჩამოთვლილია წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო ორგანიზაციის ტიპები. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ‘società a responsabilità limitata’,<br>- კვიპროსი:<br>‘ιδιωτική εταιρεία περιορισμένης ευθύνης με μετοχές ή με εγγύηση’,<br>- ლატვია:<br>‘sabiedrība ar ierobežotu atbildību’, | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | - ლიტვა:<br>‘uždaroji akcinė bendrovė’,<br>- ლუქსემბურგი:<br>‘société à responsabilité limitée’,<br>- უნგრეთი:<br>‘korlátolt felelősségű társaság, részvénytársaság’,<br>- მალტა:<br>‘kumpannija privata/Private limited liability company’,<br>- ნიდერლანდები:<br>‘besloten vennootschap met beperkte aansprakelijkheid’,<br>- ავსტრია:<br>‘Aktiengesellschaft, Gesellschaft mit beschränkter Haftung’,<br>- პოლონეთი:<br>‘spółka z ograniczoną odpowiedzialnością’,<br>- პორტუგალია:<br>‘sociedade por quotas’,<br>- რუმინეთი:<br>‘societate cu răspundere limitată’,<br>- სლოვენია:<br>‘družba z omejeno odgovornostjo’,<br>- სლოვაკეთი:<br>‘spoločnosť s ručením obmedzeným’,<br>- ფინეთი:<br>‘osakeyhtiö/aktiebolag’,<br>- შვედეთი:<br>‘aktiebolag’,<br>- გაერთიანებული სამეფო:<br>‘private company limited by shares or by guarantee’. | | | | | |
| დანართი II ნაწილი A | გაუქმებული დირექტივები მათში შეტანილი შემდგომი ცვლილებებით<br>(მითითებულია მე-9 მუხლში)<br><br>საბჭოს დირექტივა 89/667/EEC<br>(OJ L 395, 30.12.1989, გვ. 40)<br>1994 წლის დაშვების აქტის I დანართის XI.A პუნქტი<br>(OJ C 241, 29.8.1994, გვ. 194)<br>2003 წლის დაშვების აქტის II დანართის პუნქტი 4.A<br>(OJ L 236, 23.9.2003, გვ. 338) | | | | ას | ეხება გაუქმებული დირექტივის შესაბამისობის საკითხს |

<table>
<tr>
<td>ნაწილი B</td>
<td>საბჭოს დირექტივა 2006/99/EC (OJ L 363, 20.12.2006, გვ. 137) — დანართის მხოლოდ პუნქტი A.4<br><br>ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანის და გამოყენების ვადები<br>(მითითებულია მე-9 მუხლში)<br><br><table><tr><th>დირექტივა</th><th>ტრანსპორტირების ვადა</th><th>განაცხადის თარიღი</th></tr><tr><td>89/667/EEC</td><td>1991 წლის 31 დეკემბერი</td><td>1993 წლის 1 იანვარი იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიები უკვე არსებობდა 1992 წლის 1 იანვრისთვის</td></tr><tr><td>2006/99/EC</td><td>2017 წლის 1 იანვარი</td><td></td></tr></table></td>
<td></td>
<td></td>
<td></td>
<td></td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td>დანართი III</td>
<td>კორელაციის ცხრილი<br><br><table><tr><th></th><th></th></tr><tr><td>დირექტივა 89/667/EEC<br><br>მუხლი 1, შესავალი<br><br>მუხლი1, პირველიდან 27-ე აბზაცამდე</td><td>ეს დირექტივა<br><br>მუხლები 2 - 7</td></tr></table></td>
<td></td>
<td></td>
<td></td>
<td>ას</td>
<td>ეხება გაუქმებული და გამაუქმებელი დირექტივის შესაბამისობას</td>
</tr>
</table>

მუხლი 1

მუხლი 1

მუხლები 2 - 7

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მუხლი 8 (1)<br>მუხლი 8 (2)<br>მუხლი 8 (3)<br>-<br>-<br>მუხლი 9<br>-<br>-<br>- | -<br>-<br>მუხლი 8<br>მუხლი 9<br>მუხლი 10<br>მუხლი 11<br>დანართი I<br>დანართი II<br>დანართი III | | | | | | |